კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საია GYLA

Georgian Young Lawyers' Association

წლიური ანგარიში

2015

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გვარამაძე, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2015
თბილისი, ჯ.კახიძის ქ. №15; 2936101

2015

წლიური ანგარიში

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE

Embassy of the Kingdom of the Netherlands

DRC DANISH REFUGEE COUNCIL

SIGRID RAUSING TRUST

USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLOG)

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

Brot für die Welt
Bread for the World - Protestant Development Service

NED
National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ᲦᲘᲜᲓᲘ ᲦᲘᲐ ᲐᲖᲝᲛᲗᲐᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

SWEDEN

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ᲡᲘᲓᲐ
ᲩᲕᲔᲜ ● ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

British Embassy Tbilisi

ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე 9

იურიდიული დახმარება უფლებადარღვეული პირებისთვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის 10

სტრატეგიული სამართალწარმოება შიდა ეროვნულ დონეზე საერთო სასამართლოებში 14

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 17

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 20

მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში 24

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება 29

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები და მრგვალი მაგიდები 30

განცხადებები, აქციები და სხვა ღონისძიებები 34

მედიამონიტორინგი 36

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა 37

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 38

ანტიკორუფციული კვლევები და მონიტორინგი 38

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში 39

საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით 44

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა 45

კვალიფიციური, იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 47

ფონდის სასწავლო კურსები 48

სემინარები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები 51

საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები 52

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში 53

ფინანსური ანგარიში 54

ძვირფასო საიელებო, მეგობრებო, გულშემატკივრებო,

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია, მოგესალმოთ საიას რიგით მე-11 თავმჯდომარის რანგში.

მინდა დავიწყო მადლობით საიას თითოეული თანამშრომლის მიმართ, იმ დაუღალავი და თავდადებული შრომისთვის, რომლის შედეგების მხოლოდ ნაწილის აღწერა მოხერხდა აღნიშნულ ანგარიშში. წლის განმავლობაში ჩვენ მიერ გაწეული საქმიანობა გაცილებით ვრცელი და მრავალფეროვანია.

რთულია, გავიხსენოთ 2015 წლის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენა თუ საკითხი, რაზეც ორგანიზაციას არ დაუფიქსირებია მკაფიო პოზიცია, როგორც იურისტების პროფესიულ გაერთიანებასა და უფლებადამცველს.

ვფიქრობ, 2015 წელს თანაბრად აქტიურები ვიყავით ინსტიტუციურ რეფორმებში ჩართულობისა და ინდივიდებისა თუ ჯგუფების უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა, საარჩევნო რეფორმა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, სასამართლო რეფორმის მონიტორინგი და ხელშეწყობა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, ხარისხიანი სამართლებრივი განათლების მისაწვდომობის ხელშეწყობა არის იმ მიმართულებების არასრული სია, რაზეც ორგანიზაცია მუშაობდა წლის განმავლობაში. ჩვენ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ კოალიციურ აქტივობებში, მაგალითისათვის მოვიყვან გასულ წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების მონიტორინგს ანტიდისკრიმინაციული კოალიციის ფარგლებში და საკონსტიტუციო სარჩელს, რომელიც კამპანია „ეს შენ გეხებას“ მიერ მომზადდა.

წინა წლებში დაწყებული სამუშაოს კვალდაკვალ, 2015 წელს დაიწერა საიას რიგით მეორე კვლევა საყდრისზე, რომელშიც სკრუპულოზური სიზუსტით არის დოკუმენტირებული და გაანალიზებული სახელმწიფოს მხრიდან კანონზე ძალადობის მთელი ის პროცესი, რომელიც წინ უძღოდა საყდრისის აფეთქებას.

დაწყებული საქმეების გაგრძელების პარალელურად, 2015 წელს ვეძებდით ახალ გზებსა და ფორმებს საზოგადოებამდე ჩვენი სათქმელის მისატანად. სწორედ ამ მცდელობის ნაწილია საიას პირველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც შეეხება 2014 წელს ოჯახში ძალადობის ფატალურად დამთავრებულ შემთხვევებს. ფილმი მიზნად ისახავს, საზოგადოებამდე მიიტანოს მოკლული ქალების სათქმელი, რასაც თავად ვეღარასოდეს მოახერხებენ და დააფიქროს მოქალაქეები სახელმწიფოსა და თითოეული ადამიანის როლზე ძალადობასთან ბრძოლის საქმეში.

ეს წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კვლავ არაერთხელ მივიღეთ მხარდაჭერისა და ნდობის მესიჯი კოლეგების, პარტნიორებისა და მეგობრების მხრიდან. საია კვლავ აირჩიეს „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ კოალიციის თავმჯდომარედ, ასევე, მიმდინარე წელს შექმნილი ასოცირების ხელშეკრულების სამოქალაქო პლატფორმის წევრად.

ჩვენი მხრივ, ვცდილობდით ღირსეული პარტნიორობა გაგვეწია სხვა ორგანიზაციებისთვის და, იმავდროულად, შეგვენარჩუნებინა ჩვენი საკუთარი ხელწერა და თვითმყოფადობა.

წლის განმავლობაში საჯაროდ გამოგვქონდა სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებული მანკიერებანი და სახელმწიფოს ვთავაზობდით მათი აღმოფხვრის გზებს; ვიცავდით უფლებადარღვევის მსხვერპლებს – მათი პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირების, ასევე, სასამართლოში წარმომადგენლობის გზით; ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, არაერთ წარმატებულ საქმესთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საიას ის საქმეები, რომელთა შედეგადაც ძალოვან უწყებებს კანონდარღვევისა თუ არასათანადოდ განხორციელებული ვალდებულებების გამო მოქალაქეებისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრათ. ასევე მნიშვნელოვანია ის არაერთი სარჩელი თუ საჩივარი, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარვადგინეთ.

მთელი წლის განმავლობაში ვცდილობდით, დაგვერღვია დუმილი არაერთი მიმართულებით და კონკრეტული არგუმენტებით შევწინააღმდეგებოდით გაბატონებულ დისკურსს, რომელიც ტრადიციის, პოლიტიკური მიზანშეწონილობის თუ სხვა საბაბით უარყოფს, რომ უმთავრესი ღირებულება ადამიანია. ვპასუხობდით მიმდინარე წლის გამოწვევებს და, იმავდროულად, არც მათ ვივიწყებდით, ვინც ახლო წარსულში ჩადენილი მძიმე უფლებადარღვევის მსხვერპლები გახდნენ და, რომელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები ჯერ კიდევ დაუსჯელია. 2015 წელს კიდევ ერთხელ ხმამაღლა დავაფიქსირეთ ადამიანთა თანასწორობის იდეის მხარდაჭერა, ღიად დავუპირისპირდით მათი დაყოფის მცდელობებს პირველ და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად.

ბუნებრივია, ჩვენს აქტიურობას ყოველთვის ერთგვაროვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია საზოგადოების მხრიდან – იყო კამათიც, რთული დღეებიც და მწვავე კრიტიკაც. თუმცა, ესეც მხოლოდ იმის დასტურია, რომ საია კვლავ რჩება ორგანიზაციად, რომლის აზრიც მნიშვნელოვანი და საინტერესოა და, რომლის მიმართაც სახელმწიფო და საზოგადოება არასდროს არის გულგრილი.

საანგარიშო პერიოდში, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა გამოძიების დაწყების ნებართვის მოთხოვნით მიმართა წინასასამართლო პალატას, კიდევ ერთხელ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა საიას შიერ, სხვა უფლებადაცვით ორგანიზაციებთან ერთად, 7 წლის წინ გაწეულმა ფასდაუდებელმა სამუშაომ აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ფაქტების დოკუმენტირების მიმართულებით.

2015 წელს დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით გამოკვეთილი ძველი და ახალი გამოწვევები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი როლი ჯერ კიდევ აქტუალურია, არანაკლებ აქტუალური, ვიდრე გასულ წლებში.

სწორედ ეს ვითარება და საიას გამორჩეული ადგილი თანამედროვე ქართულ სახელმწიფოში გვაკისრებს უზარმაზარ პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების წინაშე. სწორედ ეს არის ის, რაც გვმატებს ძალას, მხნეობას და გამბედაობას და გვეხმარება, ვიაროთ წინ, ხან უფრო სწრაფი, ხან კი შედარებით ნელი და პატარა ნაბიჯებით, მაგრამ ვიაროთ და ვიმოქმედოთ რწმენით – უკეთესი საქართველოსთვის!

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ზუგდიდის ოფისი
2014
ქუთაისის ფილიალი
1996
ოზურგეთის ოფისი
2001
აჭარის ფილიალი
1995

საიას ოფისები

თბილისის ოფისი - 1994 წელი
აჭარის ფილიალი - 1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი- 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2015-2019 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2015 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2014 წლის 1 ნოემბერი – 2015 წლის 1 ნოემბერი).

ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

- ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე
- საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება
- ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა
- კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ჩვენი დევიზი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

მოქალაქეთათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევის მრავალწლიანი ტრადიციით საია, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კონკრეტული პირებისათვის დარღვეული უფლებების აღდგენას, ამასთან, სტრატეგიული საადვოკატო საქმეების წარმოებით – სწორი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, ბენეფიციარებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ცოდნა და შეიძინონ ის ძირითადი უნარები, რაც აუცილებელია მომავალში საკუთარი უფლებების დასაცავად. ხოლო ის ზეგავლენა, რომელსაც საია თავისი საქმიანობით მოქალაქეთა სამართლებრივ ყოველდღიურობაზე ახდენს, უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მდგომი ქვეყნისთვის.

იურიდიული დახმარება უფლებადარღვეული პირებისთვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის

2015 წელს, გასული ორი ათწლეულის მსგავსად, ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, 9 ოფისის მეშვეობით, საიამ ათასობით ადამიანს გაუწია უფასო იურიდიული დახმარება.

ორგანიზაცია, საკუთარი სტრატეგიის, ქვეყანაში არსებული ტენდენციებისა და პროექტების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა ბენეფიციართა ისეთ ჯგუფებზე, როგორებიც არიან: ქალები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პატიმრები, არასრულწლოვნები, ხანდაზმულები, მიგრანტები და ა.შ.

ათასობით ბენეფიციარის ინტერესების დაცვას საია იურიდიული დახმარების სხვადასხვა ფორმით ახორციელებდა, კერძოდ: პირადი, სატელეფონო, ონლაინ კონსულტაციები საიას ოფისებში, გასვლითი შეხვედრები რეგიონებში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო საქმეების წარმოება.

იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

წლის განმავლობაში ბენეფიციარები საიას ყველაზე ხშირად შემდეგ თემებთან დაკავშირებით მიმართავდნენ: საოჯახო სამართალი, მათ შორის განქორწინება, ალიმენტი, ასევე, ოჯახში ძალადობის აღკვეთის გზები; დასაქმებულთა უკანონოდ გათავისუფლება; სისხლის სამართლის საქმეებზე არაეფექტური

გამოძიება და დაზარალებულად ცნობის პრობლემური საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების ფონზე, განსაკუთრებით აქტუალური იყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებული თემები.

საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული კონსულტაციები:



სამართლებრივი კონსულტაციების ტიპები:

კონსულტაციის ტიპები	თბილისი	ქუთაისი	აჭარა	გორი	თელავი	დუშეთი	რუსთავი	ოზურგეთი	ზუგდიდი
პირადი	9246	2919	1854	11232	2006	2095	1835	1728	9,519
სატელეფონო	5975	546	39	1578	274	550	117	306	1355
ონლაინ	101	127	4	1	2	0	15	113	83

ბენეფიციართა რაოდენობა გენდერულ ჭრილში:



11171	თბილისი 17077	5891
2433	ქუთაისი 4477	1974
2105	აჭარა 4251	2113
7560	გორი 12163	4603
2207	თელავი 3195	988
1725	დუშეთი 2940	1215
1409	რუსთავი 2329	913
1391	ოზურგეთი 2500	1108
1204	ზუგდიდი 2164	960

გასული წლის განმავლობაში საიას იურისტებმა ბენეფიციარებს მოუმზადეს 7141 სამართლებრივი დოკუმენტი (სარჩელი, განცხადება, შუამდგომლობა და ა.შ.), რომელთაგან, ჩვენი ინფორმაციით, დაკმაყოფილდა 4956.

საანგარიშო წლის განმავლობაში, წინა პერიოდის მსგავსად, მოქალაქეები საიას ყველაზე ხშირად იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის საკითხთან დაკავშირებით მიმართავდნენ და შესაბამისი განცხადების შედგენას სთხოვდნენ. საიას იურისტების დახმარებით მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე, ასობით მოქალაქემ შეძლო საკუთრების უფლების დარეგისტრირება, სოციალური შეღავათების მიღება და ა.შ.

საიას ადვოკატები, საანგარიშო პერიოდში, აქტიურად სტუმრობდნენ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტს, ხვდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და, სამართლებრივი კონსულტაციების პარალელურად, ცდილობდნენ, მათ ყოფითი პრობლემების მოგვარებაშიც დახმარებოდნენ.

საკითხები, რომლებითაც სოფლად მცხოვრებნი ინტერესდებოდნენ, განსხვავებული იყო მუნიციპალიტეტის პრობლემატიკის შესაბამისად. თუმცა, თითქმის ყველგან ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებდა თვითმმართველობების კომპეტენციები, სოციალური დახმარებები, საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმები, მემკვიდრეობის მიღებისა და საოჯახო სამართლის თემატიკა.

გასვლითი კონსულტაციები	ქუთაისი	ბორი	თელავი	დუშეთი	რუსთავი	ოზურგეთი	ზუგდიდი
დასახლებული პუნქტების რაოდენობა	47	140	8	33	15	97	37
ბენეფიციართა რაოდენობა	849	793	138	1075	225	1347	546

საიას რეგიონული ოფისების წარმომადგენლები მიზნობრივად სტუმრობდნენ დევნილთა განსახლების ადგილებსაც. საანგარიშო პერიოდში სულ 63 ასეთი ვიზიტი განხორციელდა და დაფარა შიდა ქართლის, იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები. მობილური ვიზიტებისას ხდებოდა როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა და საინფორმაციო ბროშურების გავრცელება.

საადვოკატო საქმიანობა

გასულ წელს საიას იურიდიული დახმარების ცენტრების პრიორიტეტს კვლავ წარმოადგენდა უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, ორგანიზაციის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. ჩვენი ადვოკატების ძალისხმევით, არაერთი დავა ბენეფიციართა სასარგებლოდ დასრულდა.

საანგარიშო პერიოდში საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების წარმოებაში იყო **185** საადვოკატო საქმე. წარმატებით დასრულდა **130**.

საიას ადვოკატების დახმარებით:

- უკანონოდ გათავისუფლებული არაერთი პირი აღადგინეს სამსახურში და სახელფასო განაცდური აუნაზღაურეს.
- ოჯახური ძალადობის ათეულობით მსხვერპლის უფლებები იქნა დაცული.
- არასრულწლოვანთა ინტერესების სასარგებლოდ დასრულდა რამდენიმე ათეული საქმე.
- რამდენიმე ათეული პირი გადარჩა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ისინი გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პატიმრობისა და ჯარიმების გადახდისაგან.
- წარმატებით დასრულდა 22 დევნილის საქმე სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. საია დევნილებს ასევე არა დევნილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე უწევდა სამართლებრივ დახმარებას.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, საიას ადვოკატები აქტიურად მუშაობდნენ ისეთ საქმეებზეც, რომლებშიც პოლიციელთა მხრიდან, სავარაუდოდ, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები იკვეთებოდა. ამასთან, არაერთ პატიმარს დავეხმარეთ ვადაზე ადრე გათავისუფლების შუამდგომლობებზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრებაში.

საიას ადვოკატების დახმარებით, საანგარიშო პერიოდში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა არაერთი პირი, მაგალითად:

- უზენაესმა სასამართლომ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა საიას დაცვის ქვეშ მყოფი ლ.მ, რომელიც ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ ცნობილი იყო დამნაშავედ ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაში და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. პროკურატურის მტკიცებით, ლ.მ-მ 2012 წლის 12 სექტემბერს 112-ზე განახორციელა ცრუ შეტყობინება ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შენობაში ნაღმის არსებობის თაობაზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეს არასწორი კვალიფიკაცია ჰქონდა და ლ.მ. სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.
- საიას ზუგდიდის ოფისი სასამართლოში იცავდა მოქალაქე ზ.ჭ-ს ინტერესებს, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. სა-

სამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის დროს ბრალდებული არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე. შესაბამისად, არ არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი. აღნიშნული საქმე განსაკუთრებით სამაგალითოა, ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის პერიოდში ადგილი ჰქონდა ბრალდებულის მიმართ სიტყვიერ მუქარას, თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვასა და ადმინისტრაციული წესით უკანონო დაკავებას. მიუხედავად ბრალდებულზე განხორციელებული არაპირდაპირი ზეწოლისა, მან ბრალი არ აღიარა, ხოლო საიას მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები გამამართლებელი განაჩენის საფუძველი გახდა.

- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, მოქალაქე ც.გ, რომელსაც ბრალი ედებოდა ავტომობილით მოძრაობისას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასა და ქვეითად მოსიარულეს დაზიანებაში, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ც.გ. ვერ შეძლებდა მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილებას. შესაბამისად, არ არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.

სტრატეგიული სამართალწარმოება შიდა ეროვნულ დონეზე საერთო სასამართლოებში

საიას წარმოებაში არსებული საქმეებიდან უნდა გამოიყოს რამდენიმე ისეთი საქმე, რომელთა შედეგი არა მხოლოდ ჩვენი ბენეფიციარების ინტერესებზე აისახება, არამედ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამართლიანობის დამკვიდრებისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში, ან/და წარმოადგენს ძალიან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

მაგალითისთვის, წარმოგიდგენთ რამდენიმე ასეთი საქმეს:

- საიას გორის ოფისი იცავდა ნ.მ-ს ინტერესებს, რომელიც სამსახურიდან სწორედ მაშინ გათავისუფლდა, როდესაც ორსულობის გამო დეკრეტულ შვებულებაში აპირებდა გასვლას. მას გათავისუფლების შესახებ განცხადება დააწერინეს იმ პირობით, რომ შემდეგ მას კვლავ აღადგენდნენ, თუმცა, დანაპირები არ შესრულებულა. აშკარა იყო, რომ განცხადების დაწერა სინამდვილეში არ შეესაბამებოდა ჩვენი ბენეფიციარის ნებას. პირველ ორ ინსტანციაში წაგების მიუხედავად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი და, 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, შეცვალა როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოს განჩინება,

ისე მსგავს საქმეებზე მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, გააანალიზა საქართველოში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, რომლის თანახმად, ხელმძღვანელი პირის შეცვლისას, თანამშრომლებს აიძულებდნენ, დაეწერათ პირადი განცხადებები სამსახურიდან წასვლის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, განმარტა საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების სტანდარტი. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება საჯარო მოხელის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ პირადი განცხადების დაწერის შემთხვევაში, რათა გაირკვეს, ნამდვილად გამოხატავს თუ არა განცხადება საჯარო მოხელის ნებას.

- საია თითქმის ორი წლის განმავლობაში სამართლებრივ დახმარებას უწევდა სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთს“ და ლიცენზიის გამო წარმოებულ დავაში მის ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა. 2015 წელს სასამართლომ საკითხი განსახილველად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადაუგზავნა, რომელმაც 2015 წლის 16 ივლისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება შპს „სამაუწყებლო კომპანია ჰერეთისთვის“ თბილისში რადიომაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში მედია პლურალიზმის განვითარებას.

- საია განაგრძობს მუშაობას ეთნიკური, რასობრივი, კანის ფერისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე, რაც მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზაციისა და ამ ნორმების განვითარებისთვის. საანგარიშო პერიოდში საიას წარმოებაში იყო შვიდი ასეთი საქმე: ხუთი – სახალხო დამცველის აპარატში, ორი – სასამართლოში. აქედან, წარმატებული აღმოჩნდა ერთი საქმე. კერძოდ, 2015 წლის 19 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სახალხო დამცველის აპარატს მიმართა საჩივრით ბათუმის საკრებულოს მიმართ. საია დისკრიმინაციულად მიიჩნევდა ბათუმის საკრებულოს განკარგულებას, რომლითაც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ვიზიტისათვის საქართველოს მოქალაქე იხდიდა 3 ლარს, უცხოელი კი – 8 ლარს. აღნიშნულ განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნდა არავითარი ლეგიტიმური მიზანი. სახალხო დამცველმა, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, მიიჩნია, რომ აღნიშნული განკარგულება ადგენდა პირდაპირ დისკრიმინაციას მოქალაქეობის ნიშნით და რეკომენდაციით მიმართა ბათუმის საკრებულოს, ბოტანიკური ბაღით სარგებლობისას დაედგინა თანაბარი სატარიფო განაკვეთები საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელებისთვის.

- საიას თბილისის ოფისი თბილისის მერიის წინააღმდეგ დავაში იცავდა შ.გ-ს ინტერესებს. იგი ერთ-ერთი ბა-გა-ბაღის წინ ცდილობდა ავტობუსის გაჩერებას, რა დროსაც ჩავარდა მის უკან არსებულ საკანალიზაციო ჭაში, რომელსაც ლუქი ჰქონდა ახდილი. შედეგად, შ.გ-მ მიიღო სხეულის დაზიანებები და დასჭირდა მკურნალობა. აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მანამდე არ არსებობდა პრაქტიკა მსგავს საქმეებზე შესაბამისი მოპასუხის განსაზღვრის კუთხით. სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ მოპასუხეს წარმოადგენდა ქალაქის მერია, რომელსაც მოქალაქისთვის ჭაში ჩავარდნის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

- საიას წარმოებაში იყო ასევე რამდენიმე საქმე, რომელთა მიმართ არსებობდა განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. კერძოდ, საია იცავდა ოთხ „პარტიზან მებაღეს“, რომლებიც პოლიციის თანამშრომლებმა 2014 წლის 30 დეკემბერს დააკავეს. მათი დაკავება განხორციელდა მაშინ, როდესაც ისინი საკრებულოს წინ მშვიდობიან აქციას მართავდნენ და აპროტესტებდნენ „პანორამა თბილისის“ მშენებლობას. პოლიციის მოსაზრებით, მათ ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა და, ამასთან, არ დაემორჩილნენ სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ „პარტიზანი მებაღეების“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია წვრილმან ხულიგნობას, ხოლო მეორე დარღვევა შეფასდა მცირე მნიშვნელობის გადაცდომად, სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით და „პარტიზანი მებაღეები“ გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან. საიას თბილისის ოფისი ასევე იცავდა „პარტიზანი მებაღეების“ ერთ-ერთ წევრს, რომელიც ადმინისტრაციული წესით პოლიციამ მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების საფუძვლით დააჯარიმა. კერძოდ, საქმე შეეხებოდა მეორადი დანიშნულებით საბურავის გამოყენებას – მასში ყვავილების დარგვის მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა სამართალდარღვევის ოქმი, ვინაიდან არ დადასტურდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და პარტიზანი მებაღე გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან.

- ერთ-ერთ საადვოკატო საქმეში ზუგდიდის ოფისის დახმარებით დადგინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამართალმემკვიდრეს.

- საიას ოზურგეთის ოფისის თანამშრომლები იცავდნენ ერთ-ერთი მოქალაქის ინტერესებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც სასამართლომ შეაფასა სადავო სამართა-

ლურთიერთობაში საპატრულო პოლიციის მოხელესა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის ფორმები და მათი სამართლებრივი შედეგების შესაბამისობა კანონმდებლობასთან. სასამართლომ განმარტა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, როგორც საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირის, კეთილსინდისიერებაზე არის დამოკიდებული, დროულად აცნობოს მოქალაქეს მის მიმართ განხორციელებული ყველა საპროცესო მოქმედების შესახებ, ამასთან, მოქალაქის ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ოფიციალურად გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, ვიდრე ის ინტერესი, რომელსაც იცავს ადმინისტრაციული ორგანო.

- მოქალაქე თ.გ-მ 2012 წლის იანვრიდან ამავე წლის ივნისის ჩათვლით, პროკურატურის ზეწოლითა და ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით, შეასრულა 25,629.7 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, რაც არ აუნაზღაურდა. საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ თ.გ-ს სასარგებლოდ დაეკისრა თანხის ნაწილობრივ გადახდა 17,656.30 ლარის ოდენობით.

სტრატეგიული სამართალწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

საია წლებია ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და წარადგენს სარჩელებს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში შეტანილი იყო 8 სარჩელი. წარმატებით დასრულდა 1 საქმე, ხოლო ორ დასრულებულ საქმეზე (უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) საიას წარდგენილი ჰქონდა „სასამართლოს მეგობრის“ პოზიცია, რომლის ცალკეული არგუმენტაცია სასამართლომ გაითვალისწინა.

ახალი საქმეები

1. გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ

აღნიშნულ საქმეში საია მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებები, რომლებიც ითვალისწინებს, ყოველგვარი ობიექტური მიზეზის მითითების გარეშე, სახმელეთო ჯარების მოსამსახურის და სამხედრო პოლიციელების კადრების განკარგულებაში გადაყვანას 4 თვის ვადით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ასეთი პირების გათავისუ-

ფლებას სათანადო საფუძვლის გარეშე, არის არაკონსტიტუციური. საიას აზრით, ამ შემთხვევაში ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებული სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება.

2. ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ

სარჩელით მოთხოვნილია შინაგან საქმეთა მინისტრის იმ ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც ითვალისწინებს შსს-ს ერთიან საინფორმაციო ბანკში ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების უვადოდ შენახვას ელექტრონულ ფორმატში. საიას მიაჩნია, რომ მონაცემების უვადოდ შენახვით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით, მე-20 მუხლის პირველი პუნქტით და 41-ე მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლება.

3. ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელით მოთხოვნილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც ითვალისწინებს ახალი გამგებლის/მერის არჩევისას გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისათვის უფლებამოსილების ავტომატურ შეწყვეტას. საია მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გარანტირებულ დასაქმების უფლებას საჯარო სამსახურში.

4. დავით ცინცაძილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სარჩელის დავის საგანია პროკურორის უფლებამოსილება, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმეზე მუხლის დამძიმების მიზნით, გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, როცა სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას მსჯავრდებულს სრულად აქვს მოხდილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი. საია მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ქმნის შესაძლებლობას, სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვის შედეგად, სასჯელმოხდილი პირი დაბრუნდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმ ქმედებისთვის, რისთვისაც მან სასჯელი ერთხელ უკვე მოიხადა. ამით ირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კრძალავს ერთსა და იმავე ქმედებისთვის ორჯერ მსჯავრდებას.

5. გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საიასა და მოძრაობა „ეს შენ გეხებას“ წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების ავტორობით, 2015 წლის 15 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა კონსტიტუციური სარჩე-

ლი სატელეფონო საუბრების მიყურადების ორგასაღებიანი სისტემის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელეების აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გასაღების მოქცევით ჩნდება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხე, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მაკონტროლებელი ორგანოდან გადაიქცევა აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებლად, ვინაიდან ინსპექტორის მიერ გაცემული ელექტრონული თანხმობა დამატებით შემოწმებას საჭიროებს. ამასთან, მოსარჩელეები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ბლანკეტურ კოპირებასა და შენახვას 2 წლის ვადით. გასაჩივრებული ნორმები სადავოა კონსტიტუციის მე-16 მუხლთან, მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან და 41-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით.

6. ვალერიან მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საია ითხოვს მთავრობის დადგენილების იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კერძო დაზღვევის მქონე პირებს უფლებას არ აძლევს, ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურების სრული პაკეტით, თუნდაც 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ ამ პირებს შეწყვეტილი ჰქონდეთ კერძო დაზღვევა. საიას მიაჩნია, რომ 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კერძო დაზღვევის მქონე პირის მიმართ ადგილი აქვს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აკრძალულ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

7. გ.ფ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა მოქალაქე გ.ფ-ს სახელით, რომელიც ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იყო მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (პორნოგრაფიული მასალის უკანონოდ გავრცელება) ჩადენისათვის. კანონმდებლობით არ არის განმარტებული, თუ რა სახის მასალა ითვლება პორნოგრაფიად, ასევე, არ არის განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც პორნოგრაფიის გავრცელება მიიჩნევა კანონიერად. გასაჩივრებული ნორმა არ აკმაყოფილებს კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს და ქმნის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს. საიას მიაჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 24-ე (გამოხატვის თავისუფლება) მუხლს და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე).

8. ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ

საიამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის, ნანა ფარჩუკაშვილის სახელით. დავის საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის

ის ბრძანება, რომელიც მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეყვანა-გაყვანისას ითვალისწინებს მის აბსოლუტურ შემოწმებას, რაც გულისხმობს პატიმრის სრულებით გაშიშვლებას. პრაქტიკაში, ამ უფლებამოსილების გამოყენებისას, ადგილი აქვს გაშიშვლებული პატიმრისთვის ბუქნის გაკეთების მოთხოვნასაც. საია მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების ამგვარი ღონისძიების რუტინული გამოყენება წარმოადგენს არაჰუმანურ მოპყრობას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტს.

წარმატებული საქმე

მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2015 წლის 31 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი საქმეზე – *მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც მხოლოდ ამ კოდექსის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს ცნობდა დაუშვებლად. ეს ნორმა სისხლის სამართლის საქმეზე დასაშვებად აცხადებდა პოლიციის შესახებ კანონის ან სხვა კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. საიას მიაჩნდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტს (კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს). საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი ამ ნაწილში დააკმაყოფილა და აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის გამოყენების პირველი პრეცედენტი შექმნა.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

შიდა ეროვნულ დონეზე სტრატეგიულ სამართალწარმოებასთან ერთად, საია აქტიურად იყენებს საერთაშორისო მექანიზმებს ადამიანის უფლებათა დასაცავად. კერძოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ, პარტნიორ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) ერთად, 4 ახალი საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ამავე პერიოდში წარმატებით დასრულდა 6 ადრე წარდგენილი საქმე.

ახალი საქმეები

1. ჭელიშვილი და საცერაძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №6405/15

საჩივარი შეეხება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას ოჯახური დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

2015 წლის 23 იანვარს საიამ, ორგანიზაციასთან – „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) თანამშრომლობით, სალომე ჯორბენაძის დედის და შვილის სახელით საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

2014 წლის 25 ივლისს ქ. ზესტაფონში სალომე ჯორბენაძე მისმა ყოფილმა ქმარმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) თანამშრომელმა, სერგი საცერაძემ მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ სალომე ჯორბენაძემ დროულად მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს მოძალადე ყოფილი ქმრისგან დაცვის მოთხოვნით, მისი მიმართვა სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა.

ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარში საია ითხოვს საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის დადგენას კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-8 (პირადი ცხოვრების დაცვის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევის გამო.

2. ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №14142/15 და მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №15355/15

2015 წლის 11 მარტს საიამ, ა. ოჩიგავას და ზ. მამულაშვილის სახელით, ორი დამოუკიდებელი საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

საჩივრები შეეხება სასჯელაღსრულების №8 და №18 დაწესებულებებში სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან 2011-2012 წლებში მომჩივნების მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს და საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მხრიდან აღნიშნული ფაქტების არაეფექტურ გამოძიებას. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნების მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტზე გამოძიება 2012 წლის დეკემბერში დაიწყო, მათი მონაწილეობა გამოძიების პროცესში დღემდე არ არის უზრუნველყოფილი კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივრებში საია ასაბუთებს მომჩივნების მიმართ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევას.

3. ჯანჯღავა საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №15207/13

2015 წლის 22 ივლისს საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა მოქალაქე ნ.ჯ-ს სახელით, მისი უკანონო დაკავებისა და აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გამო.

საია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარში ასაბუთებს მომჩივნის მიმართ ევროპული კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და მე-18 (უფლების შეზღუდვათა არამიზნობრივი გამოყენება) მუხლების დარღვევას.

წარმატებული საქმეები

1. ჯაყელი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №51247/10

2015 წლის 12 მაისს ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომლითაც, მიღწეული მორიგების საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საიას წარმოებაში არსებული საქმე – *ჯაყელი საქართველოს წინააღმდეგ*.

ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილი მორიგების პირობების თანახმად, საქართველოს მთავრობამ აღიარა ჯაყელის მიმართ კონვენციის მე-6 (3) (c) მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ ის არ უზრუნველყო სავალდებულო იურიდიული მომსახურებით მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზე. განჩინების საფუძველზე, სახელმწიფომ მომჩივანს, კომპენსაციის სახით, 1500 ევრო გადაუხადა.

2. ჭიქაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 61783/11

ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის 30 ივნისს მიღებული განჩინებით, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საქმე – *ჭიქაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*. წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში სახელმწიფომ აღიარა დემონსტრანტების მიმართ შეკრების თავისუფლების დარღვევა (კონვენციის მე-11 მუხლი) და თითოეულ მომჩივანს კომპენსაციის სახით 1000 ევროს გადახდა შესთავაზა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2011 წლის 24 სექტემბერს წარდგენილი საჩივრით საია დავობდა გამოხატვის და შეკრების თავისუფლების დარღვევის, დემონსტრანტების მიმართ არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავების და საქმის განხილვის დროს არსებული დარღვევების გამო (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-5, მე-6, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლები).

3. მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №2318/10

ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის 30 ივნისს მიღებული განჩინებით, ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საჩივარი – *სტუდია*

მაესტრო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში სახელმწიფომ აღიარა 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ გამართულ მშვიდობიან აქციაზე ჟურნალისტებისათვის საქმიანობაში ხელის შეშლა და აიღო ვალდებულება, აწარმოოს ეფექტური გამოძიება მომჩივნებისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების და მათთვის ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლის ფაქტზე. ამასთან, სახელმწიფომ აიღო მომჩივანთა სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ვალდებულებაც.

ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრით საია მოითხოვდა მომჩივნების მიმართ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლებისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევის დადგენას.

4. მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №18372/04

ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის 2 ივლისს მიღებული განჩინებით, ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საჩივარი – *მირცხულავა საქართველოს წინააღმდეგ*.

საქართველოს მთავრობამ, წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის თანახმად, აღიარა კონვენციის შემდეგი მუხლების დარღვევა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დ.მირცხულავას მიმართ: მე-3 მუხლი (პენიტენციარულ დაწესებულებაში მის მიმართ გაწეული არასათანადო სამედიცინო დახმარების გამო), მე-5 პარაგრაფის 1-ლი და მე-3 მუხლები (მომჩივნის დაკავებისას არსებული ხარვეზებისა და დაკავების კანონიერების შეფასებისას სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის გამო), მე-6 პარაგრაფის მე-2 მუხლი (საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ 2005 წლის თებერვალში გაკეთებული საჯარო განცხადებით, მომჩივნის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის გამო). ამასთან, სახელმწიფომ, დ.მირცხულავას მიმართ დარღვეული უფლებების კომპენსირების მიზნით, მისთვის 5000 ევროს გადახდის ვალდებულებაც აიღო.

5. გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №59835/12

2015 წლის 15 სექტემბერს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით, სახელმწიფომ, ც.გამსახურდიას მიმართ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციით, აღიარა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივნის სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს ც.გამსახურდიას პრეტენზიას დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებით. ამასთან, სახელმწიფომ, ც.გამსახურდიას სასარგებლოდ,

დარღვეული უფლების კომპენსაციის მიზნით, 2500 ევროს გადახდის ვალდებულებაც აიღო. გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს განჩინებით, ც.გამსახურდიას ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძველზე და სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა მოითხოვოს.

6. ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №312/10

ევროპულმა სასამართლომ, 2015 წლის 15 სექტემბერს მიღებული განჩინებით, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა საქმე – *ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.*

წარდგენილ ცალმხრივ დეკლარაციაში სახელმწიფომ აღიარა 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ გამართული მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევა, კერძოდ: კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) პროცედურული ნაწილის დარღვევა გიორგი ბექაურის, მიხეილ მესხის, გიორგი ჩითარიშვილის, ვახტანგ მაისურაძის და ლუკა წულაძის მიმართ, განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების არაეფექტურობის გამო; ასევე, კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა მერაბ ჭიქაშვილის, მიხეილ მესხის და გიორგი ჩითარიშვილის მიმართ და კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა ყველა მომჩივანთან მიმართებით, რადგან მათ ვერ შეძლეს, ესარგებლათ მშვიდობიანი შეკრების უფლებით. ამასთან, წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციით, მთავრობამ 2009 წლის 15 ივნისს მომჩივნებისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ფაქტზე ეფექტური გამოძიების ჩატარებისა და მათთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება აიღო.

მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

საანგარიშო პერიოდში საია კვლავ აგრძელებდა ადამიანის უფლებათა პრიორიტეტულობის უზრუნველყოფის ხელშეწყობას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, მათ შორის, კანონშემოქმედების პროცესში მონაწილეობის გზით.

მიმდინარე რეფორმებისა თუ საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების ფონზე, საქართველოს პარლამენტში არაერთი მნიშვნელოვანი კანონის პროექტი იქნა ინიცირებული, რომელთა დიდ ნაწილზე მუშაობა, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, ასევე დაინტერესებულ პირთა მხრიდან

დიდ ძალისხმევას საჭიროებდა. რიგ შემთხვევებში, საიას შესაძლებლობა ჰქონდა, ჩართულიყო ნორმატიული აქტების პროექტების პირველად განხილვებში და შესაბამისი უწყებებისთვის საკუთარი მოსაზრებები მიეწოდებინა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პარლამენტს წარუდგინა 8 წერილობითი დასკვნა, სხვადასხვა სამთავრობო უწყებას – 10 წერილობითი მოსაზრება, საკომიტეტო განხილვებისას მოსაზრებები დააფიქსირა 5 კანონპროექტთან დაკავშირებით და გამოაქვეყნა 30 განცხადება. საიას მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი დასკვნებიდან ყველა მათგანი ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული.

საიას მიერ პარლამენტში წარდგენილი 8 დასკვნიდან 3 შეეხებოდა ახალ კანონპროექტებს, ესენია:

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ.
2. საჯარო სამსახურის შესახებ.
3. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ.

დანარჩენი 5 წერილობითი დასკვნა შეეხებოდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებს:

1. „პატიმრობის კოდექსსა“ და მის თანმდევ საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებს.
2. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატან ცვლილებებს.
3. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ შესატან ცვლილებებს.
4. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა“ და მის თანმდევ საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებს.
5. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და მის თანმდევ საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებებს.

სხვადასხვა ნორმატიული აქტის პროექტზე საიას მიერ წარდგენილი წერილობითი რეკომენდაციები შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით მომზადებული ცვლილებების პაკეტი, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი, შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის პროექტი, შშმ პირების შესახებ კანონის პროექტი და სხვა.

საკომიტეტო მოსმენებისას საიას მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები შეეხებოდა:

1. პროკურატურის რეფორმასა და მთავარი პროკურორის არჩევის ახალ წესს.
2. სასამართლო რეფორმის მესამე ტალღას.
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს.
4. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ ახალ კანონპროექტს.
5. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებს.

გამოქვეყნებული განცხადებები შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს:

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის შემცირებას.
2. შუღლის გაღვივების თაობაზე ინიცირებულ კანონპროექტს.
3. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტს.
4. საარჩევნო სისტემის რეფორმირებას.

ნორმატიული აქტების პროექტების განხილვისას, საიას რიგი რეკომენდაციები მხედველობაში იყო მიღებული. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური – საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“, რომლის მიზანს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალაუფლების დეკონცენტრაცია და ინსტიტუციურად და ფუნქციურად გამიჯნული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შექმნა წარმოადგენდა. საია აქტიურად მონაწილეობდა როგორც ნორმატიული აქტის პროექტის პირველად, ასევე შემდგომ საკომიტეტო განხილვებში. მართალია, კანონპროექტის საბოლოო ვერსიის მიმართ კვლავ არსებობს არაერთი კრიტიკული მოსაზრება, რომლებიც საკანონმდებლო ორგანომ არ გაიზიარა, თუმცა, დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობის შედეგად, საგრძნობლად დავიწროვდა სამსახურის კომპეტენცია; გაუქმდა ჩანაწერი, რომელიც აჩენდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურს შორის ფუნქციათა დუბლირების შესაძლებლობას; დაზუსტდა სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულების მარეგულირებელი ნორმა და ა.შ.

2. პროკურატურის რეფორმა – საანგარიშო პერიოდში ცვლილებები განხორციელდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, შეიცვალა

მთავარი პროკურორის დანიშვნის წესი. კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ (რომლის თავმჯდომარედ საია 2015 წელს აირჩიეს) აქტიურად მონაწილეობდა ნორმატიული აქტის პროექტის განხილვებში. საიამ, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ასევე მონაწილეობა მიიღო ვენეციის კომისიაში გამართულ შეხვედრაში, რომელიც სწორედ აღნიშნული ინიციატივის განხილვას ემსახურებოდა. ვენეციის კომისიის პირველად დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი გაითვალისწინა კანონპროექტის ავტორმა, დიდწილად ეხმიანებოდა კოალიციის მოსაზრებებს. მიუხედავად რიგი გაუმჯობესებისა, მთავარი პროკურორის დანიშვნის წესთან მიმართებით კვლავ რჩება არაერთი კრიტიკული შენიშვნა. განსაკუთრებით ეს ეხება სათანადო საკონსტიტუციო ჩარჩოს განსაზღვრის საჭიროებას.

3. სასამართლოს რეფორმირების მესამე ტალღა – საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის ფარგლებში, აქტიურად მონაწილეობდა სასამართლო რეფორმის მესამე ტალღასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის როგორც პირველად, ასევე, საკომიტეტო განხილვებში.

4. საჯარო სამსახურის რეფორმა – აღნიშნული კანონპროექტის განხილვისას, როგორც საჯარო სამსახურის ბიუროში, ასევე პარლამენტში, გათვალისწინებული იყო საიას შემდეგი მოსაზრებები: კანონის თანახმად, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ჩამონათვალი; 5 წლიდან 1 წლამდე შემცირდა დისციპლინური გადაცდომისთვის გათავისუფლებული მოხელის საჯარო სამსახურში დაბრუნების შეზღუდვა; ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომლის თანახმად, პროფესიულ საჯარო მოხელეთა შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლებამოსილება ენიჭებოდათ სახელმწიფოს დაფინანსებით საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებს.

საკანონმდებლო წინადადებები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა განიხილა საიას ორი საკანონმდებლო წინადადება:

1. **ცვლილებები საქართველოს კანონში – „სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“.** საკანონმდებლო წინადადების მიზანს წარმოადგენდა კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შეცვლა, რომლებიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა რიგი კატეგორიის მოპასუხეებს, იმავე კატეგორიის მოსარჩელეებთან მიმართებით. საქმე ეხება

სასამართლოში საქმის წარმოებისას მხარისათვის გზავნილის გაგზავნის ვალდებულებისგან გათავისუფლებას. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, მცირედი ცვლილებებით, მხარი დაუჭირა საიას მიერ კანონპროექტის სახით წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებას.

2. **ცვლილებები „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში.** საკანონმდებლო წინადადების მიზანს წარმოადგენდა კომპენსაციის გაანგარიშების იმგვარი წესის შექმნა, რომელიც იქნებოდა სამართლიანი და აღმოფხვრიდა კანონით განსაზღვრულ ბენეფიციართა სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებულ უთანასწორობას. პირველ ეტაპზე ცვლილებები იგეგმებოდა პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნილ პირთა და საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის კომპენსაციის გაცემის ერთიანი წესის განსაზღვრის კუთხით. საკანონმდებლო წინადადება, რომლის ავტორები არიან საია და სახალხო დამცველის აპარატი, საკანონმდებლო ინიციატივად იქცა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ და ამ ეტაპზე მიღებულია პირველი მოსმენით.

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მდგომი ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ საია უკვე წლებია არა მხოლოდ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სათანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზებისთვის.

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები და მრგვალი მაგიდები

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია მოიცავდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას დაინტერესებული ჯგუფებისთვის, ასევე, საინფორმაციო სემინარებს, მრგვალი მაგიდის დისკუსიებს და საჯარო შეხვედრებს.



წლის განმავლობაში საიას ოფისების მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე, როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში, განხილული იყო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თითქმის ყველა საკითხი, რომლებიც ასევე პროექტების თემატიკას წარმოადგენდა, მათ შორის: ოჯახში ძალადობა; დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია; უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება; პატიმართა უფლებები; განრიდებისა და მედიაციის პროგრამა; ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული თემები; სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა; დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი; ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებები, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა და ა.შ.

ვიზიტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

მიმდინარე საანგარიშო წელს საიას იურისტები, მრგვალი მაგიდებისა და სასემინარო შეხვედრების პარალელურად, გადიოდნენ საქართველოს რეგიონებში და აქტიურ სამუშაოებს ეწეოდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, არამედ ცდილობდნენ, დახმარებოდნენ მათ იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელთა იდენტიფიცირებაც ადგილზე ვიზიტის დროს ხდებოდა.

ადვოკატირების რამდენიმე წარმატებული მაგალითი:

- საიას დუშეთისა და ოზურგეთის ოფისების დახმარებით, განხორციელდა სოფლებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- ოზურგეთის ოფისის დახმარებით, ქ. ოზურგეთში, ანასეულის ტერიტორიაზე რადიაციული ფონი შემოწმდა. შედეგად, გარემოს დაცვის სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა რადიაციის არსებობა და მოსახლეობას რადიაციული ნარჩენების გატანას დაჰპირდა.

- საიას ქუთაისის ფილიალის მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ გასვლით შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ სოფელ წყალტუბოში მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი. საკითხის ადვოკატირების შემდეგ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის და გაერთიანებული წყალმომარაგების ადგილობრივი სერვის-ცენტრის მიერ შეკეთდა მილი, რის შედეგადაც, 30 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდება აღუდგა.

ტელე-რადიო გადაცემები

სემინარებისა და შეხვედრების გარდა, საიას იურისტები, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდნენ როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების ადგილობრივ მაუწყებლებთან და მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მომზადებულ ტელე-რადიო გადაცემებში.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა მემორანდუმები აჭარის ტელევიზიასა და ტელე-რადიო კომპანია „რიონთან“. აღნიშნული მემორანდუმების საფუძველზე, ერთი წლის განმავლობაში, საიას აჭარისა და ქუთაისის ფილიალებს საშუალება ექნებათ, მაუწყებლებთან ერთად მოამზადონ საავტორო გადაცემები.

თბილისის ოფისის იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე მნიშვნელოვან ტელე-რადიო გადაცემაში, რომლებიც ეხებოდა ჯანდაცვის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საია აქტიურად თანამშრომლობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „კომუნიკატორთან“, რომლის საშუალებითაც, მოქალაქეებს ვუწევდით სამართლებრივ კონსულტაციას მათთვის საინტერესო თემებზე. საკითხით დაინტერესებულ პირებს

შესაძლებლობა ჰქონდათ, ყოველ კვირას დაკავშირებოდნენ გადაცემა „კომუნიკატორს“ და დაესვათ კითხვა, რომელზეც სამართლებრივი კონსულტაციის მიღება სურდათ. კვირის განმავლობაში დასმულ შეკითხვებს ყოველ ხუთშაბათს პირდაპირ ეთერში საიას იურისტი აჯამებდა.

საინფორმაციო ბროშურები

საანგარიშო პერიოდში გასვლითი კონსულტაციებისა და შეხვედრებისას მოსახლეობისათვის დასარიგებლად გამოიცა ბროშურები შემდეგ აქტუალურ თემებზე: *სოციალური დახმარება; მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენა; შვებულების უფლებით სარგებლობა; სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების წესები; პასუხისმგებლობა გარემოს დაბინძურებისათვის; სასჯელისაგან გათავისუფლება და სასჯელის გადავადება; დაზარალებულთა უფლებები სისხლის პროცესში.*

ვიდეორგოლები

მიმდინარე წელს, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, საიამ მოამზადა რამდენიმე საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომელთაგან ერთი შეიქმნა საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით. მეორე ვიდეორგოლი შეეხებოდა ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებს და მოიცავდა პრაქტიკულ რჩევებს მოსალოდნელი პრობლემებისთვის თავის არიდების კუთხით. ასევე, მომზადდა ორი ვიდეორგოლი, რომლებიც მოქალაქეებს მოუთხრობდა, თუ რა უფლებები ჰქონდათ მათ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისას.

კიდევ ერთი ვიდეორგოლი ახალგაზრდებს ამცნობდა „ცენტრალური საარჩევნო სკოლის“ დაწყებას და მათ ამ პროექტში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდებდა. ასევე, შეიქმნა ანიმაციური ფილმი „არჩევლენდი“, რომელიც სახალისო ფორმატში ასახავდა წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების მიმდინარეობას.

აღნიშნული ვიდეორგოლები გაეგზავნა ტელეკომპანიებს, სოციალური რეკლამის სახით ეთერში გაშვების მიზნით, ასევე, რგოლები განთავსებულია საიას online-პლატფორმებზე.

იმავდროულად, თებერვალსა და მაისში საიამ გადაიღო ორი ვიდეორგოლი მოქალაქეების ისტორიებზე დაყრდნობით. მათგან, პირველში ასახულია იმ დევნილთა მდგომარეობა, რომლებსაც დღემდე სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ფართი არ მიუღიათ. მეორე ვიდეორგოლში კი, გადმოცემულია სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრისპირა სოფელ ჯარიაშენის მაცხოვრებელთა ყოველდღიური ყოფა.

ეკონომიკური
ინფორმაციის
ცენტრი

ადგილობრივი
თვითმმართველობა

საინფორმაციო ბიულეტენი

2015 წლის მაისში საიამ საზოგადოებას პირველი ონლაინ-საინფორმაციო ბიულეტენი გააცნო. გამოცემა ყოველთვიურია და მასში ორგანიზაციის მიერ თვის განმავლობაში განხორციელებული ყველა აქტივობა აისახება. ამასთან, იგი მრავალფუნქციურია და მკითხველს ინფორმაციის ხილვა სხვადასხვა ფორმატში შეუძლია (სტატია, ვიდეორგოლი, ფოტოგალერეა). ბიულეტენი ხელმისაწვდომია ელექტრონულად, როგორც ორგანიზაციის ვებ-გვერდზე, ასევე, სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე.

განცხადებები, აქციები და სხვა ღონისძიებები

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16-დღიანი კამპანია

საანგარიშო პერიოდში საია შეუერთდა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტივიზმის 16-დღიან კამპანიას, რომელიც 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს. კამპანიის ფარგლებში, საიას თბილისისა და რეგიონულ ოფისებში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო განათლების მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალთა დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებები გამართა. ამავე კამპანიის ფარგლებში, საია შეუერთდა „ქალთა მოძრაობის" მიერ ორგანიზებულ აქციას საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

განცხადება კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

2014 წლის 9 დეკემბერს – კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს – საია გამოეხმაურა განცხადებით, რომლითაც შეაფასა ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეული წარმატებები და მიღწევები. იმავდროულად, ხაზი გაუსვა იმ გამოწვევებს, რომლებიც კვლავ აქტუალურია და ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში სახელმწიფოსგან სათანადო ყურადღებას საჭიროებს.

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე

საიამ 2014 წლის 10 დეკემბერს ტრადიციისამებრ აღნიშნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე და საჯარო განცხადებით მოკლედ მიმოიხილა გასული წლის განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. ასევე, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული მიმართულებით ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ერთი მილიარდი ამბოხებული ქალთა ძალადობის წინააღმდეგ

2015 წლის 14 თებერვალს საიას ქუთაისისა და ზუგდიდის ოფისები შეუერთდნენ მსოფლიო მასშტაბის კამპანიას „ერთი მილიარდი ამბოხებული რევოლუციისათვის/One Billion Rising Revolution".

კამპანიაში ჩართული პირები ერთიანდებიან ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაში. აქციის ინიციატორები მოუწოდებენ მილიონობით ქალს, გამოვიდნენ სახლებიდან, სამსახურებიდან და გაერთიანდნენ, რათა აჩვენონ ერთიანი ძალა სამართლიანობის აღდგენის, ძალადობის დაგმობისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ჯანდაცვის საერთაშორისო დღე

2015 წლის 7 აპრილს, ჯანდაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში აქციები გაიმართა, სადაც ჯანდაცვის საკითხებზე საიას მიერ მომზადებული ბროშურები დარიგდა. აქციის ფარგლებში ჩატარდა ასევე ქუჩის ვიდეოგამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად არიან მოქალაქეები ინფორმირებულნი ჯანდაცვის სფეროში საკუთარი უფლებების შესახებ. აღნიშნული ვიდეორგოლი სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა.

1 მაისი – მშრომელთა საერთაშორისო დღე

1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღეს, საიამ გაავრცელა სპეციალური განცხადება, სადაც ხაზგასმით მიუთითა იმ გამოწვევებზე, რომლებიც აქტუალურია საქართველოში შრომის უფლების დაცვის მიმართულებით.

26 ივნისი – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე

2014 წელს 26 ივნისს – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღეს – საია ასევე საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა და წამების მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობა გამოხატა. ამასთან, სახელმწიფოს მოუწოდა, ეფექტური ნაბიჯები გადადგას მსხვერპლთა უფლებების აღდგენის, წამების პრევენციისა და დამნაშავეთა გასამართლების კუთხით.

კამპანია ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ

2015 წლის ოქტომბერში, დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გამართული დიასპორული კვირეულის ფარგლებში, საიამ და კავკასიურმა ინსტიტუტმა, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით, გამართეს კამპანია ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. კამპანიის ფარგლებში გავრცელდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა ტრეფიკინგთან დაკავშირებით, შეიქმნა მოკლე ვიდეორგოლი.

კამპანია ასევე მოიცავდა კომპონენტს – „მიგრანტის ამბები“, რომლის ფარგლებშიც ემიგრაციაში მყოფი თანამემამულეების შესახებ საინტერესო მასალები მომზადდა და აიტვირთა საიას facebook-გვერდზე, რათა საზოგადოებამ მიიღოს მეტი ინფორმაცია საზღვარგარეთ მყოფი ემიგრანტების შესახებ და, ამდენად, შემცირდეს სტერეოტიპული დამოკიდებულება ემიგრაციასა და ემიგრანტებთან დაკავშირებით.

მედიამონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიასაშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საია ნახსენები იყო 4520 სტატიასა თუ ტელე-რადიო სიუჟეტში.

10 ტელევიზიის ეთერში საიას შესახებ სულ გადაიცა 1944 სიუჟეტი/გადაცემა. ტელევიზიებიდან ლიდერობდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“ – 581 გადაცემით.

8 რადიოტალღაზე გავიდა 589 სიუჟეტი. აქედან 223 სიუჟეტით „პირველი რადიო“ ლიდერობს.

ინტერნეტ-გამოცემების საშუალებით, ერთი წლის განმავლობაში საიას შესახებ 1550 სტატია გამოქვეყნდა. მათგან პირველ ადგილს www.interpressnews.ge იკავებს 179 სტატიით.

რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, წლის განმავლობაში საიას შესახებ 447 სტატია გამოქვეყნდა. მათგან პირველ ადგილს, 62 სტატიით, „მესენჯერი“ იკავებს.



ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში საიამ, გასული წლების მსგავსად, აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა, კერძოდ, მიზნის მიღწევას ცდილობდა ანტიკორუფციული თუ სხვა თემატური კვლევებით, მართლმსაჯულების პრობლემების ანალიზით, რაც გამოიხატა სასამართლო პროცესების მონიტორინგსა თუ სასამართლოს ადმინისტრირების საკითხების შესწავლაში, ასევე, სხვა აქტუალურ თემებზე მუშაობით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში საიამ, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან ერთად", მოამზადა კვლევა, რომელშიც მიმოიხილა საქართველოში საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისა და პროაქტიული გამოქვეყნების საკითხები, ასევე, შესწავლილი იყო საზღვარგარეთის ქვეყნებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

ანტიკორუფციული კვლევები და მონიტორინგი

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირებთან დაკავშირებული საკითხები ბოლო წლებში სერიოზული დისკუსიის საგანი გახდა. პრობლემის აქტუალურობაზე მიანიშნებს ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებს, მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და კორუფციული რისკების შემცირების მიზნით, ცალკე ადგილი ეთმობა საქართველოს ახალ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში, ხოლო საია ამ კუთხით მთავარ პარტნიორად განიხილება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში, საიამ ორი კვლევა მოამზადა. მათ შორის, ერთი კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე, ხოლო მეორე კვლევა ეხება ხორვატიის ანტიკორუფციულ პროგრამას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაარსებული საწარმოებისათვის.

საია აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და სამომავლოდ არაერთ აქტივობას გეგმავს.

საჯარო-კერძო პარტნიორობა

საჯარო-კერძო პარტნიორობა (PPP), როგორც საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის სპეციფიკური ფორმა, ნაკლებად ცნობილია საქართველოსთვის. სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება საიას მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებული კიდევ ორი კვლევა, რომლებშიც, ერთი მხრივ, განხილულია ამ მიმართულებით საქართველოს მწირი გამოცდილება, ხოლო მეორე მხრივ – საერთაშორისო პრაქტიკა.

საყდრისი-ყაჩაღიანი – ნგრევა კანონის სახელით

აღნიშნული კვლევა რიგით მეორე დოკუმენტია, რომელიც საიამ საყდრისი-ყაჩაღიანის შესახებ მოამზადა და, რომელიც 2014 წლის მეორე ნახევრიდან საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ასახავს. კვლევა ძირითადად ორ საკითხს ეხება – ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნასა და კომპანიისთვის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას. იგი ნათლად აჩვენებს, თუ როგორი დარღვევებით წარიმართა საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურები.

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები

კვლევა ეხება, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გამარტივებული შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს და იგი მომზადდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს სამინისტროების 2013-2014 წლების პრაქტიკის გათვალისწინებით. მასში კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა სახელმწიფო შესყიდვის ზემოხსენებული ფორმის თანმდევ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: საჯარო ფინანსების არარაციონალურად ხარჯვის რისკი, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეშლა, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ შესაძლო დისკრიმინაციული მიდგომა და სახელმწიფო შესყიდვების არასაკმარისი საჯაროობა.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა საქართველოში

სისხლის სამართლის საქმეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი

„მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა USAID-ის დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2011 წლიდან მონიტორინგს უწევდა სისხლის სამართლის პროცესებს. 2012 წლის მარტიდან ასევე ხორციელდებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე

დაკვირვება. 2015 წლის ივნისიდან კი, სასამართლო პროცესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი გრძელდება ახალი პროექტის ფარგლებში – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLOG), USAID-ის დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი

მიმდინარე წელს საიამ გამართა სასამართლო პროცესების მონიტორინგის მე-6 და მე-7 ანგარიშების პრეზენტაცია, ასევე, საზოგადოებას წარუდგინა სასამართლო პროცესებზე დაკვირვების სამწლიანი შედეგები, რომელმაც 2011 წლიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდი მოიცვა.

სამწლიან ანგარიშში ასახულია და დინამიკაშია ნაჩვენები სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას გამოვლენილი ცვალებადი ტენდენციები. განსაკუთრებით საინტერესო და თვალსაჩინოა, თუ როგორ იცვლებოდა წლების განმავლობაში სასამართლოებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, ასევე, საპროცესო შეთანხმების განხილვის პრაქტიკა და როგორი იყო სასამართლოს დამოკიდებულება მხარეთა მიმართ – დაცული იყო თუ არა შეჯიბრებითობის პრინციპი.

პერიოდულ მე-6 (2014 წლის იანვარი-აგვისტო) და მე-7 (2014 წლის აგვისტო - 2015 წლის იანვარი) ანგარიშებში განხილული და წარმოჩენილია მოცემულ პერიოდებში გამოვლენილი შედეგები. წინა წლების მსგავსად, მონიტორინგის ანგარიშებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ამჯერადაც ისინი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია მითითებული, როგორც შესაბამისი წყარო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგის რიგით მე-8 ანგარიშზე მუშაობა. მომავალში საია საზოგადოებას წარუდგენს განახლებული მეთოდოლოგიით მომზადებულ შეფასებებსა და კვლევებს, რომლებშიც უფრო სიღრმისეულად იქნება გაანალიზებული სხვადასხვა თემატური საკითხი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში გამოიცა საიასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთობლივი №3 ანგარიში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ, რომელშიც 2014 წლის დაკვირვების შედეგებია ასახული. ასევე, მომზადდა საბჭოს სამწლიანი (2012-2014) საქმიანობის შეფასების შემაჯამებელი ანგარიში.

წინა პერიოდების მსგავსად, მონიტორინგი განხორციელდა საბჭოს საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, როგორიცაა მოსამართლეთა დანიშვნა, მივლინება და დისციპლინური სამართალწარმოება. ასევე, მონიტორინგი შეეხო საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების წესს და, ზოგადად, პრო-

ცესის გამჭვირვალობას. რაც შეეხება შემაჯამებელ ანგარიშს, იგი ასახავს საბჭოს, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი სუბიექტის საქმიანობაში დაფიქსირებული ხარვეზებისა თუ პოზიტიური ცვლილებების სამწლიან დინამიკას.

საია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აგრძელებენ საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს და მისი ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას მომავალშიც მიაწოდებენ.

ფემიციდის საქმეების მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2015 წლის თებერვლიდან ახორციელებს პროექტს „საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფოს საქმიანობის მონიტორინგი საქართველოში ფემიციდთან ბრძოლის კუთხით“. პროექტი ხორციელდება ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

- პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევა, რომელშიც სამართლებრივად გაანალიზდა 2014 წელს ჩადენილი ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) შემთხვევები და სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ანალიზი, ასევე, მოხდა ფემიციდის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლა.

- პროექტის ფარგლებში შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახულია 2014 წელს ჩადენილი ფემიციდის შემთხვევები. ფილმის პრეზენტაცია 2015 წლის დეკემბერში იგეგმება.



საიას საქმიანობა განათლების სისტემაში პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელ კომისიაში

საია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის“ წევრი იყო მისი შექმნის დღიდან – 2012 წლიდან.

კომისიის მიზანს წარმოადგენდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამინისტროში წარდგენილი განცხადებების, კერძოდ, განათლების სისტემიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების შესწავლა. ორწლიანი შრომატევადი მუშაობის შემდეგ კომისიამ, საიას თანაავტორობით, გამოსცა ანგარიში, რომელშიც ასახულია სამინისტროსა და კომისიაში შესული ასობით განცხადების შესწავლის შედეგები.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი

საია 2014 წლიდან არის „კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრი. მასში შემავალი ორგანიზაციები ახორციელებენ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგს. მონიტორინგის საფუძველზე, მომზადდა ერთიანი ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია კანონმდებლობის პრაქტიკაში რეალიზაციის შედეგები და მოიცავს 2014 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე პერიოდს.

დევნილობასთან დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკა“. მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიმართულებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, აღნიშნული საკითხი კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. კვლევაში გაანალიზებულია, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილების კუთხით. ასევე, მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ამ სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

მიმდინარე პერიოდში საიამ მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტი – საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შეფასება. ანგარიშში ძირითადად განხილულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც, ორგანიზაციის ხედვით, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის, მიმდინარე პროცესებისა თუ მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშისთვის იყო დამახასიათებელი. ამ ანგარიშის საფუძველზე, საიამ წარადგინა შესაბამისი რეკომენდაციები, პარალელურად კი, ორგანიზაცია განაგრძობს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის მომავალი წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობას.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მექანიზმის ფარგლებში გაეროში ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენა

საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მიმდინარე წელს გაეროს ოთხი კოალიციური ანგარიში წარუდგინა. ანგარიშები მოიცავს 2010-2014 წლების პერიოდს და აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

1. სასამართლო, სამართალდამცავი და სასჯელაღსრულების სისტემები.

2. შრომითი უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა.
3. გამოხატვის, მედიის, ინფორმაციის თავისუფლება, პერსონალური მონაცემების დაცვა, შეკრების თავისუფლება.
4. ჯანდაცვა.

გაეროში ასევე გაიგზავნა კოალიციური ანგარიში დისკრიმინირებული და მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვაზე საქართველოში.

აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში ანგარიშები გაეროში საიამ პირველად 2010 წელს წარადგინა.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში რუსეთთან მიმართებით წარდგენილი რეკომენდაცია

2015 წლის 31 მარტს გაეროს სესიაზე საიამ და ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა (NIHR), ადამიანის უფლებათა პრიორიტეტთან (HRP) თანამშრომლობით, ალტერნატიული ანგარიში წარადგინეს. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს კონფლიქტის ზონებში. მასში მითითებული დასკვნები ნაწილობრივ აისახა გაეროს ამავე სესიაზე კომიტეტის მიერ მიღებულ დასკვნაში.

მიგრაციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარების ხელშეწყობა

მიმდინარე წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობის“ ფარგლებში, მომზადდა რამდენიმე გამოცემა. კერძოდ:

- **„ყოველდღიური სამართალი: სამართლებრივი გზამკვლევი მიგრანტებისთვის“** – პროექტის ფარგლებში მიგრანტებისთვის გაცემული სამართლებრივი კონსულტაციების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რიგი სამართლებრივი საკითხები, რომელთა თაობაზეც მიგრანტები და, განსაკუთრებით, დაბრუნებული მიგრანტები ყველაზე ხშირად მიმართავენ საიას. აღნიშნული თემები გაერთიანდა და გამოიცა სამართლებრივი გზამკვლევის სახით.
- **კვლევა ტრეფიკინგსა და არალეგალურ მიგრაციაზე** – პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებზე. გაანალიზდა როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ 2013-2014 წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი, ასევე, ბოლო წლებში არსებული სასამართლო პრაქტიკა ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საქმეებზე. გარდა ამისა, შესწავლილი იყო საზოგადოების აღქმა აღნიშნულ პრობლემებთან მიმართებით.

პროექტის ფარგლებში, 2015 წლის ნოემბერში, ჩატარდება შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან მი-

გრაციის სამთავრობო კომისიის წევრები როგორც სახელმწიფო უწყებებიდან, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება სამწლიანი პროექტის შედეგები და განიხილება სამომავლო თანამშრომლობის გეგმები მიგრაციის მიმართულებით.

საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით

საარჩევნო რეფორმა

2015 წელს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა წარმოადგენდა. ამ მიზნით, საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო), შეიმუშავა და საზოგადოებას წარუდგინა რეკომენდაციები ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: პროპორციული საარჩევნო სისტემა საპარლამენტო არჩევნებისთვის, საარჩევნო დავები, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, ადმინისტრაციული რესურსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, ამომრჩევლის მოსყიდვა და მედია რეგულაციები.

რეკომენდაციების განხილვა მრგვალი მაგიდის ფორმატში მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა, რა დროსაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ.

განხილვების შემდგომ საქართველოს პარლამენტს წარედგინა რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტისთვის თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მიზნით. საია, პარტნიორებთან ერთად, კვლავ აგრძელებს რეკომენდაციების ადვოკატირებას.

პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისა და არსებული გენდერული დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით, საიამ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციულ სიებში ქალების 50%-იან კვოტირებას გულისხმობს.

2015 წლის შუალედური არჩევნები

საიას სადამკვირვებლო ლიგის წევრები 2015 წლის 31 მაისისა და 31 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და პარლამენტის შუალედურ არჩევნებს აკვირდებოდნენ. საიას სადამკვირვებლო მისია მოიცავდა როგორც წინასაარჩევნო კამპანიის, ასევე, კენჭისყრის დღისა და შედეგების შეჯამების მონიტორინგს.

პროცესებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, აუცილებელია, გადაიდგას მთელი რიგი ნაბიჯები საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების კუთხით, რაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ეს ეხება, მაგალითად, გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ უბნებს, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საარჩევნო განვითარების სკოლა 2015

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საიასა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ევროპის საბჭოსა (CoE) და აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ახალგაზრდებისთვის საპილოტე და წარმატებული პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ განახორციელა.

სასწავლო კურსი სამ ეტაპად მიმდინარეობდა საქართველოს 10 რეგიონში: თელავში, გურჯაანში, ახალციხეში, მარნეულში, გორში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდში, ოზურგეთსა და ბათუმში. 17-დან 25 წლამდე ასაკის 627 ახალგაზრდას შესაძლებლობა მიეცა, მიეღო ცოდნა საარჩევნო პროცესების მნიშვნელოვან საკითხებზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოამზადა საინფორმაციო რგოლი და კურსის კურიკულუმი – „ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები“.

აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად საიამ, პარტნიორ ორგანიზაცია „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო – საქართველოსთან“ ერთად, პარალელურად განახორციელა პროექტი „ახალი თაობის ხედვა“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების აქტიურ ჩაბმას ქვეყნის საარჩევნო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მოგვიანებით კი, ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით, გაიმართა დებატები ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში საიამ სპეციალური დოკუმენტური ფილმი მოამზადა. მასში ასახულია განხორციელებული აქტივობები, ახალგაზრდების მოლოდინები და ის წარმატებული შედეგები, რომლებიც პროექტის ორგანიზატორებმა დაისახეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ხელშეწყობა

დაკვირვება ადგილობრივ თვითმმართველობებში გამართულ ატესტაციებსა და კონკურსებზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ გა-

ნახორციელა ადგილობრივი თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა ატესტაციებისა და კონკურსების მონიტორინგი. დაკვირვების მიზანს წარმოადგენდა გასაუბრების პროცესის საჯაროობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის, ასევე, ატესტაციებსა და კონკურსებში მონაწილე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

დაკვირვება მთლიანობაში განხორციელდა 16 მუნიციპალიტეტში.

დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, საიამ შეიმუშავა რეკომენდაციები კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის გაუმჯობესების მიზნით.

მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

საიამ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და NDI-ის მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში 11 თვითმმართველ ქალაქში განახორციელა საბიუჯეტო პროცესების მონიტორინგი, ასევე – ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის კვლევა/ანალიზი ადგილობრივ თვითმმართველობებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესწავლისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველობა და სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტი

მიმდინარე წელს საიამ, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ძალიან საინტერესო პროექტი „დაცული არჩევანი – ეფექტური თვითმმართველობის გარანტი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების შედეგად არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხისა და ეფექტური გარანტიების შექმნის ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მიზნის მისაღწევად განხორციელდა კვლევა, რომელშიც განხილული იყო სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტის ირგვლივ არსებული საერთაშორისო პრაქტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სტრუქტურების (GRECO, ვენეციის კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) დასკვნები, გადაწყვეტილებები, მოსაზრებები, უცხოური სახელმწიფოების გამოცდილება. ამასთან, საკითხის გააზრება მოხდა უშუალოდ ქართული რეალობის ჭრილში – როგორც საკანონმდებლო ბაზის, ისე იურიდიული დოქტრინის თვალსაზრისით. კვლევის ბოლოს წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტიურად ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე. ახალგაზრდებისათვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო, საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს საიას იურიდიული სწავლების ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი სთავაზობს.

ფონდის სასწავლო კურსები

6-თვიანი სასწავლო კურსების ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წელი წარმატებით დაასრულა 52-მა სტუდენტმა. 6 თვის განმავლობაში სტუდენტები ეუფლებოდნენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით: საჯარო სამართალი; სამოქალაქო სამართალი; სისხლის სამართალი.

ფონდმა 2015 წლის 21 ივლისს წარმატებული სასწავლო წლის დასრულება და ფონდის 10 წლის იუბილე აღნიშნა პროფესორ-მასწავლებლებთან, ადვოკატებთან, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების წარმომადგენლებთან ერთად.

ფონდის და საიას ინიციატივით, რამდენიმე წარმატებულ კურსდამთავრებულს საშუალება მიეცა, თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრში სტაჟირება გაევლო.

სასწავლო კურსის ფარგლებში, ფონდმა, ტრადიციისამებრ, სტუდენტებისათვის ორგანიზება გაუწია იმიტირებულ სასამართლო პროცესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სტუდენტებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, საჯარო სამსახურების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

დებატების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, კვლავ რჩება იურისტ-სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში ფონდის ორგანიზებით დებატების კურსები მიმდინარეობდა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და, ასევე, 2014 წელს გახსნილ ზუგდიდის ოფისში. კურსების ბოლოს კი, ტრადიციისამებრ, გაიმართა ფონდის დებატების ტურნირი. ტურნირში, წინა წლის მსგავსად, გაიმარჯვა იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის სამოქალაქო სამართლის ჯგუფმა.

დებატები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ისწავლონ კონსტრუქციული კამათის ხელოვნება, დაეუფლონ დებატის კულტურას, სწრაფ აზროვნებასა და ანალიზის უნარს, აგრეთვე, იურიდიულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ტექნიკას.

საუკეთესო მოდებატეებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“

2014 წლის დეკემბერში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა, წლების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის ფარგლებში ორგანიზება გაუწია ოლიმპიადას „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“. ოლიმპიადა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარდა.

ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველი 42 გუნდიდან, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, საწყის ეტაპზე შეირჩა 8 გუნდი. 5-7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა როგორც შესარჩევი რაუნდები, ასევე, ნახევარფინალი და ფინალი. იმიტირებულ პროცესებს თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ხოლო სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და გერმანელი მოსამართლე.

ოლიმპიადის საზეიმო დახურვის დროს საკონსტიტუციო სამართლის საუკეთესო მცოდნეებს საკონსტიტუციო სასამართლომ შესთავაზა 6-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება სასამართლოში. ასევე, გამოვლინდნენ საუკეთესო მოსარჩელეები და მოპასუხეები. ოლიმპიადის ფინანსურმა მხარდამჭერმა IRZ-მა გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვა მთავარი პრიზით – ერთკვირიანი ვიზიტით გერმანიაში. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადაეცა სახელმძღვანელოები და სხვა ფასიანი საჩუქრები.

სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ განაგრძობს საკვირაო სკოლების ორგანიზებას თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და გორში. გასულ საანგარიშო პერიოდში ამას დაემატა ზუგდიდის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაც.

საკვირაო სკოლები ოქტომბერში გაიხსნა და მას, წინა პერიოდის მსგავსად, უძღვებოდნენ ფონდის სალექციო კურსების წარმატებული კურსდამთავრებულები. საანგარიშო პერიოდში, საკვირაო სკოლაში, ხუთივე ქალაქის მასშტაბით, 240-მდე სკოლის მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებსაც დასრულების შემდგომ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონები“ და კაზუსების წიგნი – „სამართლის ქალაქი”.

ფონდის ორგანიზებით, საკვირაო სკოლის მოსწავლეები შეხვდნენ არაერთ ცნობილ და წარმატებულ ადამიანს და შესაძლებლობა მიეცათ, მათთან ერთად განეხილათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადება

2015 წელს სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიმართულებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით და სსიპ „მასწავლებლის სახლისა“ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა სამართლის კლინიკასთან პარტნიორობით, ფონდმა 3 თვის განმავლობაში განახორციელა პედაგოგთა გადამზადების ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „სამოქალაქო და სამართლებრივი განათლების ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“. ამ პროექტის განხორციელება აუცილებელი გახდა სწორედ ფონდის მიერ 2014 წელს გამოცემული „პრაქტიკული სამართლის სახელმძღვანელოს“ ეფექტური იმპლემენტაციისათვის.

პროექტის მიზანი იყო სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა და მათთვის სამართლებრივი განათლების მიწოდება ინტენსიური ტრენინგების გზით. პროექტის ფარგლებში გადამზადდა თბილისისა და ქუთაისის 80 სკოლის 100 მასწავლებელი. შედეგად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გრძელვადიანი მომზადების პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს მოცემული დისციპლინის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხს.

სემინარები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები

საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი კვლავ აგრძელებენ სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიციას თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისთვის.

2013 წლის 26-27 დეკემბერს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით, საიას სისხლის სამართლის იურისტებისათვის ჩატარდა ტრენინგი პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემატურ საკითხებზე. ტრენინგზე განხილული იყო პოლიციის შესახებ კანონის სხვადასხვა ნორმა, რომლებიც საიას ადვოკატებს, მათი პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, ყველაზე პრობლემატურად მიაჩნდათ.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ ახალგაზრდული პროგრამის „ლიდერთა სახლის“ მონაწილეებისთვის, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდთან ერთად, განახორციელა ერთკვირიანი პროექტი – სემინარები ადამიანის უფლებებში. პროექტის მიზანი იყო არაფორმალური განათლების გზით არასრულწლოვნებში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება. პროექტში მონაწილეობა მიიღო აპლიკაციების საშუალებით შერჩეულმა 25-მა მოსწავლემ.

2015 წლის 15 მაისს, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით საჯარო ლექცია გამართა საიას ყოფილმა თავმჯდომარემ და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ანა დოლიძემ. ლექცია შეეხებოდა საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებს. საჯარო ლექციას ესწრებოდნენ როგორც ფონდის სტუდენტები, ასევე საიას თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

30 ივლისს, საიას ზუგდიდის ოფისში ფონდის დირექტორმა თამარ მეტრეველმა გამართა „ქართული უმაღლესი იურიდიული განათლების ხარისხის“ კვლევის პრეზენტაცია. კვლევა განხორციელდა საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პროექტის – „ხარისხიანი განათლება ძლიერი ინსტიტუტებისათვის“ – ფარგლებში.

31 ივლისს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა ბათუმში, საიას აჭარის ფილიალში, 20-მდე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტისათვის ორგანიზება გაუკეთა სემინარს საგადასახადო სამართალში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს 6 რეგიონში (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ზუგდიდი, თბილისი) ჩატარდა ტრენინგები ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაცი-

ის საკითხებზე, რა დროსაც 100-ზე მეტმა სტუდენტმა ასევე მონაწილეობა მიიღო იმიტირებულ სასამართლო პროცესში. ტრენინგებისა და იმიტირებული პროცესის მიზანი იყო სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საინფორმაციო ცენტრი და გამოცემები

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა განაგრძობს მუშაობას სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკის ფონდის განახლება იურიდიული ლიტერატურით. საანგარიშო პერიოდში საიას საბიბლიოთეკო ფონდი 250 ერთეულით შეივსო შეძენილი და ნაჩუქარი პუბლიკაციებით. ამასთან, დაიწყო ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ელექტრონული კატალოგების მომზადებას და მის განთავსებას ვებ-გვერდზე – www.legaleducation.ge.

ფონდმა 9 ივლისს გამართა საინფორმაციო შეხვედრა Lexis Nexis-ის წარმომადგენლებთან, რომელზეც განხილულ იქნა თანამშრომლობის შესაძლებლობები და, ასევე, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის საკითხი საიას თანამშრომლებისა და ფონდის სტუდენტებისთვის.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად კვლავ რჩება ქართულ ენაზე მაღალრეიტინგული იურიდიული ლიტერატურის თარგმნა და ქართველი ავტორების ხელშეწყობა მათ მიერ ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში, GIZ-ის და IRZ-ის ფინანსური მხარდაჭერით, ფონდი მონაწილეობდა 2 სახელმძღვანელოს გამოცემაში – კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. სახელმძღვანელოები, რომლებიც 1000-1000 ეგზემპლარის ოდენობით დაიბეჭდა, გადაეცემა ყველა სასწავლებლის პედაგოგს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სტუდენტებს. მომავალში იგეგმება ინტენსიური ტრენინგები პროფესორ-მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოს ერთგვაროვანი გამოყენების თაობაზე.

გარდა ამისა, გრძელდება მუშაობა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის სახელმძღვანელოზე, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა.

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს თბილისისა და რეგიონული ოფისების იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის.

6-დან 8 თვემდე სტაჟირების პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით, შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, ადვოკატებთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სასამართლოში და ა.შ. სტაჟიორთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

გასული საანგარიშო წლის განმავლობაში, საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, თბილისისა და რეგიონული ოფისების მასშტაბით, სულ 130 დამწყებ იურისტს მიეცა სტაჟირების გავლის საშუალება.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ნაკადის სტაჟიორებიდან საიას თბილისისა და რეგიონულ ოფისებში 9 სტაჟიორი დასაქმდა.

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2014 წლის 1 ნოემბერი – 2015 წლის 1 ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიღებულია 3,557,314.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

EWMI	697,058.00
Sida	237,087.00
BFDW	951,688.00
SRT	637,098.00
DRC	60,055.00
NDI	121,998.00
CIDA	10,067.00
EHRAC	141,840.00
The government of Netherlands	475,836.00
NED	103,163.00
COE	19,752.00
EURASIA	33,977.00
British Embassy	20,773.00

საწევრო შენატანი	1,449.00

სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირის შემოწირულობა	29,808.00

სხვადასხვა შემოსავალი	15,665.00

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 112 თანამშრომელი, მათ შორის 55 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,525,429.00 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 202 პიროვნებაზე – საერთო თანხით 158,651.00 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ მომსახურების ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი – 370,296.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შეძენილია 49,893.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 12,850.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 25,784.00 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 25,784.00 ლარის ღირებულების.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 57,408.00 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლებისა და წევრების მგზავრობის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 121,248.00 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 110,408.00 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 31,991.00 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 9,618.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 2,464,736.00 ლარი. აღნიშნული ხარჯი, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

BFDW	144,110.00
CIDA	9,089.00
COE	8,110.00
DRC	89,630.00
EHRAC	40,482.00
EU	621,557.00
EURASIA	3,862.00
EWMI	741,443.00
The government of Netherlands	107,159.00
NDI	86,049.00
NED	48,389.00
OSGF	131,576.00
Sida	166,948.00
SRT	239,977.00

შემოწირულობა	26,144.00
საწევრო	211.00

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ანა ნაცვლიშვილი – თავმჯდომარე
ნათია კაციტაძე – თავმჯდომარის მოადგილე
ბესარიონ აბაშიძე
ბესარიონ ბოხაშვილი
ეკა გოგიჩაიშვილი
თამარ გურჩიანი
მიხეილ დაუშვილი
ნინო თვალთვაძე
ნათია კაპანაძე
კახა კოჟორიძე
ქეთევან კრაწაშვილი
ნინო ლომჯარია
ლევან მოსახლიშვილი
თამარ რევაზიშვილი
ვენერა სუქნიძე
ეკატერინე ფოფხაძე
თინათინ შელია
პარმენ ჯალაღონია
სოფო ჯაფარიძე
მიხეილ ჯახუა
თამარ ხიდაშელი

აღმასრულებელი დირექტორი

თამარ გვარამაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – გიორგი ხიმშიაშვილი
ქუთაისის ფილიალი – გიორგი სანტურიანი
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი – ნინო ხუხუა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი
მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი
ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი
სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი
კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი
26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი
გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი
რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ზუგდიდის ოფისი
ლაღიძის ქ. №3 (ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge